



ს ა ს ა მ ა რ თ ლ ო ს ხ ღ ო მ ი ს

ო ქ მ ი

22 დეკემბერი 2010 წ.

ქ. თბილისი

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია

მოსამართლე თამარ ონიანი

სხდომის მდივანი ანა ჩხიკვაძე

განიხილა მოსარჩელე ასოციაცია „მწვანე ალტერნატივა“-ს სასარჩელო განცხადება მოპასუხე ქ. თბილისის მთავრობის მიმართ, ქ. თბილისის მთავრობისათვის განცხადებით მოთხოვნილი საჯარო ინფორმაციის გადაცემის დავალების თაობაზე.

სხდომა დაიწყო 14:00 საათზე.

მოსამართლე ხსნის მოსამზადებელ სხდომას და აცხადებს განსახილველ საქმეს.

სხდომის მდივანი სასამართლოს მოახსენებს:

სხდომაზე გამოცხადდნენ: მოსარჩელე ასოციაცია „მწვანე ალტერნატივა“ ს წარმომადგენლები: - ირმა მახათაძე; ნინო გუჯარაიძე. (რწმუნებულება ერთვის საქმეს)

გამოცხადდა მოპასუხე - ქ. თბილისის მთავრობის წარმომადგენელი სალომე ბარბაქაძე. (რწმუნებულება ერთვის საქმეს)

წადმომადგენლობით უფლებამოსილებას.

მოსამართლე, თანახმად სსსკ-ის 214-ე მუხლისა აცხადებს, რომ საქმეს იხილავს მოსამართლე თამარ ონიანი, ანა ჩხიკვაძის მდივნობით და განუმარტავს მხარეებს აცილების უფლების შესახებ.

მხარეებს მოსამართლეს სხდომის მდივნის მიმართ აცილება არ აქვთ.

მოსამართლე განუმარტავს მხარეებს სსსკ-ის 211-ე, 212-ე და 215-ე მუხლების შინაარსს და ეკითხება: ხომ არ გაქვთ რაიმე შუამდგომლობა ან წარმოსადგენი სასამართლოს წინაშე?

მოპასუხის წარმომადგენელმა წარმოადგინა შესაგებელი და თანდართული მასალები, რომელიც დაერთო საქმეს.

წარმოდგენილი შესაგებლის ასლი გადაეცა მოსარჩელეს.

მოსარჩელის წარმომადგენელი შუამდგომლობს სასამართლოს წინაშე: ვინაიდან, მოპასუხის შესაგებელი დღეს ჩაგვებარდა და ჩვენს მიერ შესასწავლია მათი პოზიცია.

სასამართლოს ვთხოვ განსახილველ საქმეზე კვლავ მოსამზადებელი სხდომა დაინიშნოს.

სასამართლო ხელმძღვანელობს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-8, 205-ე, 284-285-ე მუხლებით და

ადგილზე თათბირით ადგენს:

1. დაკმაყოფილდეს მოსარჩელის წარმომადგენლის შუამდგომლობა.
2. საქმე მოიხსნას დღეის სხდომიდან და კვლავ მოსამზადებელი სხდომა დაინიშნოს 2011 წლის 11 იანვარს 16:00 საათზე.

სხდომა დაიხურა 14:15 საათზე

მოსამართლე



თამარ ონიანი

სხდომის მდივანი

ანა ჩხიკვაძე

მოსამართლე
სხდომის მდივანი